სარევიზიო კომისიის ანგარიში ბაფის საქმიანობის შესახებ

ბაფ-ს სარევიზიო კომისის მიერ (მარეხ ტოგონიძე, ხათუნა ბარბაქაძე, გიორგი ნიქაბაძე) შემოწმებული იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2016 წლის 20 მაისიდან 2017 წლის 19 მაისამდე პერიოდში საქმიანობა. შემოწმება მიმდინარეობდა ბაფის ოფისში 2017 წლის 12 მაისიდან 19 მაისამდე პერიოდში. შემოწმების ობიექტს წარმოადგენდა ბაფ-ის გამგეობისა და კომიტეტების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა; აღმასრულებელი სტრუქტურის შიდა კონტროლის სისტემა; საანგარიშო პერიოდში გაწეული ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა - დაგეგმილი და ფაქტიურად შესრულებული მონაცემების შედარების ჭრილში. შემოწმებამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა საქმიანობის ანალიზი და მოგვეხდინა მისი შეფასება.

გაგაცნობთ ჩატარებული რევიზიის შედეგების მოკლე მიმოხილვას:

1. წესდების და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა

ბაფი საქმიანობას ახორციელებს გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და შესაბამისი კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე. რომლითაც ხორციელდება ბაფის წესდებით აღებული ვალდებულებები, ასევე ბაფის მიერ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში აღებული 2016-2017 წლიანი სტრატეგიული გეგმის საქმანობა, რომლებიც უზრუნველყოფს:

- პროფესიული სერთიფიცირებისა და უწყვეტი განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას;
- სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეფექტურ მართვას;

წევრებისადმი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნების შესაბამისად, ბაფი 2 წელიწადში ერთხელ ადგენს სამოქმედო (ორწლიან) გეგმას, რომელიც 7 ნაწილადაა დაყოფილი და მოიცავს ბაფის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობას და პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც ბაფის 2016 წლის საქმიანობა დადებითად შეაფასა. შენიშვნები ჰქონდათ მხოლოდ – დისციპლინარული მოკვლევის სფეროში. გაგმგეობის მიერ მოხდა შენიშვნების გათვალისწინება და შესაბამის კომიტეტს დაევალა განახლებული წესებით მოქმედება.

საანგარიშო პერიოდში, საოქმო ჩანაწერების მიხედვით, ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა (წესდება ითვალისწინებს მინიმუმ ოთხი სხდომის ჩატარებას წელიწადში). გამგეობის სხდომებზე მიღებული დადგენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. აღნიშნული მასალების შესწავლის საფუძველზე სარევიზიო კომისიამ გამგეობის მუშაობა დადებითად შეაფასა. ასევე რეკომენდაციის სახით აღინიშნა, რომ საოქმო ჩანაწერების ფორმატში დამატებული იქნეს რუბრიკა წინა სხდომის დროს გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების სტატუსი შესახებ და სამომავლო შესასრულებელი

საქმიანობის შესრულების ვადები, რაც აამაღლებს გამგეობის საქმიანობის ეფექტურობას და მის ვადებში გაწერას.

ბაფ-ში საქმიანობის უკეთ გამხორციელების მიზნით, შექმნილია კომიტეტები:

- საწევრო კომიტეტი;
- განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტი;
- აუდიტორული საქმიანობის რეგულირების კომიტეტი;
- სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი;
- საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი;
- ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

მათი საქმიანობის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს „კომიტეტების საქმიანობის შესახებ" დებულება, ხოლო ცალკეული კომიტეტისათვის გამგეობის მიერ დამტკიცებულია დებულებები, რომლებშიც გაწერილია მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და უფლება-მოვალეობები.

საწევრო კომიტეტის შემოწმების პერიოდში შესწავლილი იქნა მოქმედი დებულებების მოთხოვნების ფაქტიური განხორციელების მდგომარეობა, კერძოდ:

წევრებთან ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტები (წესდება, საწევრო კომიტეტის დებულება, ბაფის წევრად მიღების, წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები); 2017 წლის 15 მაისის მდგომარეობით ბაფის წევრია 7775 ფიზიკური პირი (**მ.შ 7198 ასოცირებული და 577 ნამდვილი წევრი**) **და** 103 აუდიტორული კომპანია.
სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა და საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.

განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი: სარევიზიო კომისიამ შეისწავლა მარეგულირებელი დოკუმენტები (პროფესიული განათლებისა და ატესტაციის კომიტეტის დებულება, ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი, ნამდვილ წევრთა სავალდებულო განათლების სტანდარტების მოთხოვნები და ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოები);

განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შესაბამისობაშია დადგენილი მარეგულირებელ დოკმენტებთან, იგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: გადამზადება, პროფესიული სერტიფიცირება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა, რომელიც ბაფის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს, ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიონალისთვის დამახასიათებ საერთაშორისო კრიტერიუმებსა და ეთიკის ნორმებს. 2017 წლის 15 მაისის მონაცემებით, სასერტიფიკაციო პროცესში წიგნების მიხედვით დარეგისტრირებულია 8668 პრეტენდენტი. საანგარიშო

პერიოდში გამოცდაზე გავიდა 1432 პრეტენდენტი, მათგან დადებითი შედეგი მიიღო 1222, ხოლო უარყოფითი 210 პრეტედენტმა.

სარევიზიო კომისიამ შეისწავლა კომიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, შესამოწმებელ პერიოდში კომიტეტების მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ საოქმო ჩანაწერები, რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასადა.

აუდიტორული საქმიანობის რეგულირების კომიტეტი. კომიტეტმა 2016 წლამდე პერიოდში, საბოლოო სახემდე მიიყვანა ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმებისათვის აუცილებელი დოკუმენტები: ხარისხის კონტროლის სისტემის შემმოწმებლის სერტიფიცირების დებულება და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება. სამოქმედო გეგმით, აუდიტის რეგულირების კომიტეტის მთავარი მიზანი საანგარიშგებო წელს იყო ბაფის წევრ აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარება. ვინაიდან საანგარიშგებო წელს მომზადებული და მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული (შემდეგ მიღებული) იყო ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია გათვალისწინებულია სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს მიერ, პროცესი შეჩერდა. კომიტეტი, ძირითადად, გადაერთო კორპორაციული წევრებისათვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფისათვის კონსულტაციებისა და სემინარების ფორმით მხარდაჭერაზე. ბაფი ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარ მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ წევრ კომპანიებში, რომლებიც ამის სურვილს გამოხატავენ.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში 2016 წელს: ა. შერჩეული იქნა აუდიტის პროგრამა, რომელიც ითარგმნა ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი გახდა აუდიტური კომპანიებისათვის; ჩატარდა 40-საათიანი პრაქტიკული სემინარი ხარისხის კონტროლის სისტემის მეთოდოლოგაზე; გ. გაიმართა შეხვედრები (მრგვალი მაგიდა) თემაზე: „მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგისათვის მოსამზადებელი სამუშაოები“.

ახალ რეალობასთან შესაბამისად კომიტეტი გააგრძელებს ფუნქციონირებას განახლებული ამოცანებით, რომელიც ბაფის წევრი აუდიტორების ხარისხის გაუმჯობესების მიზანზე იქნება ორიენტირებული. 2017 წლის 9 მაისს ბაფ-ის გამგეობის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აუდიტორული საქმიანობის კომიტეტის დაკომპლექტების ახალი წესის შესახებ და დაიგეგმა თვის ბოლომდე კომიტეტის დაკომპლექტება და დებულების განახლება.

სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტის დებულება გაწერილია, მისი საქმიანობის ძირითად მიმერთულებებს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და მათი გამოყენების სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა.

სარევიზიო კომისიის წევრები გავესაუბრეთ კომიტეტის თავმჯდომარეს და მასთან ერთად მიმოვიხილეთ კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა. სტანდარტების კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში ითარგმნა და გამოიცა ‘‘პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის

სახელმძღვანელო (2015 წლის რედაქციით)"; „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (2015 წლის რედაქციით)"; „ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტები (2016 წლის რედაქციით)" ასევე კომიტეტი ჩართული იყო ბაფ-ის უწყვეტი სწავლების 2016 წლის თემატიკის შერჩევაში, იგი აქტიურად ჩართულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობეებში და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის საკითხებში, რაც ბაფის ერთერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. 2017 წელს კომიტეტის წევრები ინტენსიურად თანამშრომლობენ ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან. აღნიშნული სამსახურის თხოვნით კომიტეტის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ბუღალტრული აღრიცხვის ფინანსური ანგარიშგების ქართული ტერმინოლოგიის განხილვისა და დამკვიდრების კუთხით.
სარევიზიო კომისიის მიერ შესწავლილი იქნა სტანდარტების კომიტეტის დებულება, სამოქმდო გეგმა და შესამოწმებელ პერიოდში განხოციელებული საქმიანობები. რის საფუძველზეც კომიტეტის საქმიანობა დადებითად შეფასდა. რეკომენდირებულია კომიტეტის საქმიანობის საოქმო ჩანაწერების არქივირება.

საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი. საგადასახადო კომიტეტის დებულებით, მისი ფუნქციაა: ბაფის წევრების საკონსულტაციო მომსახურეობა საგადასახო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; ბაფში წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხების მომზადება მისი ჯურნალში გამოქვეყნებამდე (ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე); საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან, ბაფის სახელით.

კომისიამ ინფორმაციები მიიღო კომიტეტის წევრებისაგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ბაფ-ში მუდმივად მუშაობს ორი კონსულტანტი რომლებიც პასუხობს შემოსულ შეკითხვებს, წერილობითი შეკითხვების პასუხებს იხილავს კომიტეტი და შესაბამისად ხდება მისი გაგზავნა ადრესატზე ან|და გამოქვეყნდება ბაფ-ის ყოველთვიურ ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა". კომიტეტის წარმომადგენელი (უმეტესწილად თავმჯდომარე) სისტემატიურად და აქტიურად მონაწილეობს სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან გამართულ დისკუსიებში.

კომიტეტის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე (რადგანაც სამუშაო სისტემატიურად ყოველდღიურად მიმდინარეობს) დამკვიდრებული პრაქტიკით საოქმო ჩანაწერები არ იწარმოება.

მოსაზრება: საგადასახადო კომიტეტის ფუნქცია და საქმიანობა სწორად და სრულადაა აღწერილი კომისიის მიერ, რეკომენდირებულია კომიტეტის საქმიანობის საოქმო ჩანაწერების არქივირება.

ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი ახალი ჩამოყალიბებულია და ის ასეთი ფორმით აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ახალი რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს ახალი კანონისა (08. 06.2016) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე, საანგარიშგებო წელს განახლდა **„ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი"**. მიღებული წესით განისაზღვრა:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის მიდგომები;

ბ) გამოვლენილ დარღვევებზე დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა და მათი დაკისრების წესი,

აღნიშნული წესი საბოლოო ფორმით დამტკიცებული იქნა 2017 წლის მაისის დასაწყისში და გამოქვეყნებულია ბაფის ვებ-გვერდზე. კომიტეტი გააგრძელებს ფუნქციონირებს ახალი წესისი მიხედვით.

შეფასება: საანგარიშგებო პერიოდში კომიტეტში არ შემოსულა ინფორმაცია და შესაბამისად არც განხილულა მსგავსი დარღვევების ფაქტები.

2. აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობის და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება

აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა დარეგულირებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია "მენეჯერული პროცედურები"; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით "ბაფის თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ". დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფილია ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და გამიჯვნა, რაც საშუალებას იძლევა დაცული იყოს თითოეულ უბანზე პასუხისმგებლობის შესაფერი დონე. თანამშრომელთა ვალდებულებების შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან.

გამგეობის მიერ დამტკიცებულია ბაფის 2017 წლის ბიუჯეტი, გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა და შიდაგანაწესი.

ფედერაციაში შესყიდვის ოპერაციებისა და აქტივების დაცვაზე პასუხისმგებელია ოფისის მენეჯერი. წევრებისა და ბაფის საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება უზრუნველყოფილია ბაფის ვებგვერდისა და ყოველთვიური ჟურნალის მეშვეობით, სადაც ქვეყნდება ბაფის ნორმატიული აქტები, ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება.

საანგარიშო პერიოდში განახლებულია ბაფის ვებგვერდის სტრუქტურა და დიზაინი. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ახალი ვებგვერდის შექმნით გადაწყვეტილია გასული წლების პრობლემა ინგლისურენოვანი საიტის შექმნასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციით, განახლებული საიტი მოქმედებაშია და თარგმნის პროგრამის რეჟიმი ავტომატურად უზრუნველყოფს საიტზე განთავსებული ინფორმაციის თარგმნას რუსულ და ინგლისურ ენებზე. ბაფი არის საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაცია და ინგლისურენოვანი საიტი სასიკეთოდ წაადგება მისი საქმიანობის პოპულარიზაციას.

დასკვნის სახით, სარევიზიო კომისიას მიაჩნია, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ ორგანიზაციის მართვის სფერო და შიდა კონტროლის სისიტემა გამართულია და დადებითად აფასებს.

3. ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა

ბაფი ყოველწლიურად ადგენს და გამგეობა ამტკიცებს მომავალი პერიოდის ბიუჯეტს, რომელსაც შემდგომ იყენებს სახელმძღვანელოდ თავის საქმიანობაში. ჩვენ გავეცანით 2016 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტს და გავაკეთეთ დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლობრივი შედარება ბაფის 2016 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგებით ფაქტიურად მიღებულ შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამის მუხლებთან. შედარებებმა დაგვარწმუნა, რომ დაგეგმილი ბიუჯეტი და ფაქტიურად მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები, ძირითადად, შესაბამისობაშია.
გვინდა მოგახსენოთ, რომ 2017 წლის აპრილში ბაფს გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე ჩატარებული აქვს 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. (ბაფს ჩატარებული აქვს 2013, 2014 და 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი) რადგან კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია აუდიტორის მიერ შემოწმების შედეგებზე მოხსენების გაკეთება, სარევიზიო კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა ფინანსური საქმიანობის ნაწილში რევიზიის ჩატარება.

შემოწმების შედეგების შეფასება

წარმოდგენილი ანგარიშის მომზადების პერიოდში, კომისია მოქმედებდა სარევიზიო კომისიის დებულების შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული და მიმდინარე წელს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია გამოქვეყნებულია და უფრო დეტალური აღწერა საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

სარევიზიო კომისიის დასკვნა: საანგარიშგებო პერიოდში ბაფის მიერ გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბაფ-ის საქმიანობა განვლილ საანგარიშგებო პერიოდში სრულ შესაბამისობაშია წესდებით დადგენილ ვალდებულებასთან. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებულ ორწლიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულდება შეთახმებულ ვადებში, მხოლოდ ერთი შენიშვნა აღინიშნა დისციპლინარული მოკვლევის სფეროში. შეფერხება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებით. გაგმგეობის მიერ მოხდა შენიშვნების გათვალისწინება. შესაბამის კომიტეტს დაევალა განახლებული წესებით მოქმედება. საერთო შეფასებით საანგარიშო პერიოდში ბაფის მიერ გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებელია.

სარევიზიო კომისიის წევრები:

1. მარეხი ტოგონიძე (თავმჯდომარე)
2. ხათუნა ბარბაქაძე
3. გიორგი ნიქაბაძე